საქართველოს მთავრობის

განკარგულება №2051

2012 წლის 24 დეკემბერი

ქ. თბილისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის დაფუძნების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს სახელმწიფოს სახელით საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის (შემდგომში - ფონდი) დაფუძნება.

2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული ფონდის გამგეობა განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

ბიძინა ივანიშვილი	-	საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ფონდის გამგეობის თავმჯდომარე
დავით კირვალიძე	-	საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, ფონდის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე
დავით ნარმანია	-	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, ფონდის გამგეობის წევრი
ნოდარ ხადური	-	საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ფონდის გამგეობის წევრი
თეა წულუკიანი	-	საქართველოს იუსტიციის მინისტრი, ფონდის გამგეობის წევრი
გიორგი კვირიკაშვილი	-	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ფონდის გამგეობის წევრი
ხათუნა გოგალაძე	-	საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრი, ფონდის გამგეობის წევრი
დავით გალეგაშვილი	-	საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ფონდის გამგეობის წევრი
შალვა ფიფია	-	საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ფონდის გამგეობის წევრი
გიორგი თაბუაშვილი	-	საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, ფონდის გამგეობის წევრი
დავით საგანელიძე	-	საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის თავმჯდომარე, ფონდის გამგეობის წევრი
გიგლა აგულაშვილი	-	საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ფონდის გამგეობის წევრი.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფონდის დაფუძნების შემდგომ დამფუძნებლის ყველა უფლებამოსილება განახორციელოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

პრემიერ-მინისტრი ბ. ივანიშვილი